№ 10. თბილისი, 1942 წ. მარტი. გამოცემის წელი XIX. გამომცემლობა „კომუნისტი“. ფასი 50 კაპ.

# ნიანგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 42

## პროფესიის ერთგულნი

გერმანიის სარდლობა იძულებული გახდა სპეციალური ინსტრუქცია გამოეცა იმის შესახებ, რომ შვიბულებაში მყოფმა ჯარისკაცებმა „არ წაიღონ სკამები, არ გამოილონ მინები რკინიგზის ვაგონების ფანჯრებიდან, არ შეიჭრან ღამის გასათევად სახლებში. ძალად, არ გამოიყენონ შეშად პარკეტი და იატაკები არ აჭყარონ კარტოფილის მონახვის მიზნით, რადგან გერმანიაში იატაკქვეშ კარტოფილი არ მოიპოვება.

გაზეთებიდან

ნახ. გ. ლომაძისა




— რა გალონებს ფრაუ ბერტა! შენი შვილი ხომ ხელცარიელი არ დაგიბრუნდება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არ მჯერა

ფაშისტურმა პრესამ ყვირილი ასტეხა: — „ნერვების შენარჩუნების“ შესახებ, რაც გამოხატავს გერმანელ ხელისუფალთა სე-რიოზულ შეშფოთებას ჰიტლერელ მძარცველთა არმიის ზურგის მდგომარეობისათვის.

გაზეთებიდან

ნახ. ი. კროტკოვისა

**ფაშისტი ოფიცერი:** — ნუ ხმაურობთ! ნერვები დაიმშვიდეთ!

**გერმანელი ჯარისკაცი:** — სადღა გვაქვს ნერვები?..

# ერთი წერილი

ეფრეიტორ ფრიც ჰაუზერის მელანქოლიური გამომეტყველება და ამღვრეული თვალები ასეულის უფროსში უნდობლობას იმსახურებდა.

ჰაუზერს ხშირად განცალკევებაც უყვარდა. ხელსაყრელ შემთხვევაში შავ ფიქრებს მიეცემოდა და თავის უბის წიგნაკშიც რაღაც ჩანაწერებს აკეთებდა.

— „მგონი ბოროტ სულს შეუპყრია ეგ ეშმაკის ფეხი. ვინ მისცა მაგ ტუტუცს ფიქრების ნება? განა არ იცის, რომ ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ ფიურერი ფიქრობს ყველას მაგიერ?“

და უფროსმა მას მეთვალყურენი მიუჩინა, რომლებიც სასწრაფოდ „მოვალეობის“ შესრულებას შეუდგნენ, ისინი თავიანთ „ჭკუას“ ძალას ატანდნენ, რათა ეფრეიტორის ბოროტი ზრახვები გამოეაშკარავებინათ და უფროსის მადლობა მიეღოთ, მაგრამ ვერაფერს გახდნენ... უკანასკნელად მეთვალყურეებმა ბედი სცადეს და ერთმა მათგანმა ასეთი შეკითხვა მისცა მას:

— ფრიც, ხომ არაფერი გაწუხებს?

— როგორ არა, მე მხოლოდ შენი უაზრო შეკითხვა მაწუხებს. — და იგი სწრაფად განშორდა მას.

შემდეგ მეორე მეთვალყურემ შეეკითხა:

— „ფრიც რას ისურვებდით ამჟამად ჩვენი დიდი ფიურერისათვის?“

— „იმას, რასაც შენ! — უკმეხად უპასუხა და მასთან ლაპარაკი შესწყვიტა.

მეთვალყურეებს სხვა არაფერი დარჩენოდათ გარდა იმისა, რომ ძილის დროს ჰაუზერისათვის ყური დაეგდოთ, რომ იქნებ მას ძილში მაინც წამოცდენოდა რამე მათთვის „საჭირო“.

და მართლაც, ერთერთ მათგანს „ბედმა გაუღიმა“ და ჰაუზერმა, რომელსაც ძილში საცოლე მოეჩვენა ბოდვა დაიწყო. მან ყური მოკრა ასეთ სიტყვებს:

— „მაშ ასე, შენ მოღალატე ხარ, და როგორც ასეთი, უნდა ჩაძაღლდე“...

მეთვალყურეს სახე გაუბრწყინდა:

— „აჰა, ახლა კი ჩემს მახეში გაები. ვერსად ვერ წახვალ, ალბათ ჩვენს ფიურერს გერმანელი ხალხის მოღალატეს უწოდებ? მოკვლასაც კი უპირებ. დამაცა, გიჩვენებ სეირს!

და იგი იმ წუთშივე გაექანა ასეულის უფროსისაკენ. უფროსმა მოუსმინა მას, მადლობა უთხრა და რკინის ჯვარზე წარდგენა აღუთქვა.

ამის შემდეგ მან ჰაუზერის წინააღმდეგ სათანადო ზომები მიიღო. მეორე დღესვე იგი მოწინავე ხაზზე გააწესეს და სიკვდილის წინაშე პირისპირ დააყენეს.

არ გასულა დიდი ხანი, რაც ფრიც ჰაუზერი საბჭოთა ტყვიას ვერ აცდა და სამხრეთის ფრონტზე „არიულ“ სულთან ერთად თავისი უბის წიგნაკიც დასტოვა.

მისი სული საბჭოთა მეომრებმა საჩუქრად ფიურერს გაუგზავნეს, მხოლოდ უბის წიგნაკი კი სამხრეთის ფრონტზე მებრძოლი წითელი არმიის ერთერთ დივიზიის შტაბს ჩააბარეს.

შტაბში ჰაუზერის წიგნაკს დიდი ინტერესით გაეცნენ და ბევრიც იცინეს.

წიგნაკში ჩანაწერებიდან და მასში ჩაკრულ ფოტოგრაფიულ სურათებიდან ბევრი რამ საინტერესო გამოირკვა. ფოტოგრაფიულ სურათებიდან აღსანიშნავი იყო ჰაუზერის მოტრფიალე ქალები, რომლებსაც იგი, როგორც ჩანს, სხვადასხვა სახელებს არქმევდა: „ფარშავანგი“, „გაფურჩქვნილი ყვავილი“, „ჩემი სინათლე“ და სხვ. მათ შორის, განსაკუთრებით ორი ქალის სურათი იპყრობდა ყურადღებას. ერთზე ასეთი წარწერა იყო „შენი ბერტასაგან“, ეს იყო ჰაუზერის საცოლე. მეორე სურათს კი „ამშვენებდა“ ასეთი წარწერა: ჩემს „ჯოჯოხეთის მაშხალას“ — ფრიც ჰაუზერს, — „ფრონტის ანგელოზი ნეტი“. — ეს უკანასკნელი გადაღებული იყო შიშველად, ხელში პაპიროსი ეკავა და ჰაუზერს კისერზე ეხვეოდა.

წიგნაკში ჩანაწერებიდან ნათლად ჩანდა, რომ ბერტა, ჰაუზერის საცოლე, სხვასაც ყვარებია. ბერტა მდიდარი ოჯახის ქალი ყოფილა და ჰაუზერი, განსაკუთრებით დაინტერესებულია მისი მშობლების სიმდიდრით. მისი მეტოქე განზ ბრაუნი საფრანგეთის ფრონტზე დაჭრილა, — სიკვდილს თუმცა გადარჩენია, მაგრამ ორივე ფეხები დაუკარგავს და ინვალიდი დაბრუნებულა იმ ქალაქში, სადაც ბერტა ცხოვრობდა.

მიუხედავად ამისა ჰაუზერში ეჭვიანობა მაინც არ გამქრალიყო, რასაც იგი ამჟღავნებს ერთ თავის ლექსში, რომელსაც ნიცშედან აღებული ციტატა ჰქონდა წამძღვარებული:

> მამაკაცის ბედნიერებას ეწოდება: „მე მსურს“.
> დედაკაცის ბედნიერებას ეწოდება: „მამაკაცს სურს“.

შემდეგ მიჰყვებოდა ლექსი:

> მამაკაცთან ერთად უნდა დედაკაციც იყოს ფლიდი,
> და მიტომაც არ მწერ, რომ შენ გეხვეოდა ინვალიდი?
> ეგებ გინდა მამაშენის დაეპატრონოს ის სიმდიდრეს,
> ამის ნებას მას არ მისცემს ჰაუზერი, — ცოცხლობს ვიდრე.
> მაინც ვფიქრობ შენზე, თუმცა მე არა მაქვს ამის ნება,
> სიყვარულის ცეცხლი გულში კვლავ ბიღვივის, არ მიქრება.

შემდეგი წარწერებიდან ირკვეოდა, რომ ჰაუზერში ბერტას უკანასკნელ წერილს სიხარული გამოუწვევია, რომელშიც ბერტა ატყობინებდა, რომ იმ ქალაქში, სადაც ის ცხოვრობს, არც ერთი მამაკაცი, გარდა ინვალიდებისა არ დარჩენილა, ინვალიდებიც მათხოვრობით სცხოვრობენ. განზ ბრაუნიც უკვე რამდენიმე თვეა, რაც გარდაცვლილა.

ამ წერილზე ჰაუზერს საპასუხო წერილი გაუგზავნია, და მიუწერია, რომ მალე დაუბრუნდება მას, რომ უკანასკნელი წერილი მას დიდათ გახარებია, რომ მას იგი ხშირად სიზმარშიაც ხედავს. თუმცა, ერთხელ ცუდი სიზმარიც უნახავს, თითქოს განზ ბრაუნს წაჰყოლია ცოლად. ამის გამო, მას ბერტა, როგორც მოღალატე, ვითომ მოუკლავს და სხვ.

დღიურში, სადაც ამ წერილის გაგზავნას იხსენიებს, — მისი ასეთი სიტყვებია ჩაწერილი:

„წითლები გვიტევენ, გარს შემოგვერტყენ, — ყველაფერი ინგრევა, ცეცხლის ალში ვართ გახვეულნი, — ტყვიების ზუზუნი ისმის... იძულებული ვარ აქ მრავალი წერტილი დავსვა.

როგორც ჩანს, ჰაუზერის ამ მრავალ წერტილს ერთი წერტილიც მიმატებია, რის გამო ხელი შეშლია მას დაუბრუნდეს თავის ბერტას. ეს წერტილი მსხვილად აშჩნევია როგორც უბის წიგნაკს, ისე მის მკერდს. წერტილი „დასმულია“ საბჭოთა სნაიპერის მიერ.

**სანდრო ეული**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# უცნაური მისამართი

ბავარიის ერთერთ პროვინციიდან ბერლინს მიემგზავრებოდა კონსერვების მკეთებელი ოსკარ ჰუმმერი. ოსკარი ოლქის მოსახლეობამ სერიოზული შუამდგომლობით გააგზავნა. შუამდგომლობა შეეხებოდა იმას, რომ აღნიშნული პროვინციის აღნიშნულ ოლქში სრულიად გამოილია ყვავები, კაჭკაჭები და სხვა მსგავსი ფრინველები. ძაღლების და კატების ხსენება კი დიდი ხანია აღარ არის.

მიუხედავად ამისა, იქ მაინც ააგეს საკონსერვო ქარხანა და მოსახლეობისაგან მოითხოვენ მასალას.

„სახორცე მასალის ასეთი კრიზისის პირობებში, — სწერდენ ისინი, — ოჯახზე თითო ყვავის, ან ორ ოჯახზე სამი კაჭკაჭის დაჭერა შემოგვაწერეს, რაც ჩვენს ძალღონეს აღემატება. ამიტომ შუამდგომლობდენ ისინი, — საკონსერვო ქარხნის გადატანაზე მეზობელ ოლქში, სადაც თურმე ბლომად არიან ჭილყვავები, ჩხიკვები და, ასე გასინჯეთ, გუგულებიც კი“.

ჰუმერის ერთი ნათესავი, გავლენიანი გესტაპოელი ახლო ნაცნობი აღმოჩნდა გებელსისა. მან წერილი გაატანა ოსკარს.

— მიდი პირდაპირ გებელსთან და ის ყველაფერს გაგიკეთებსო — უთხრა.

ჰუმერი მთელ გზაზე იმ ფიქრებში იყო გართული, როგორ მოეხერხებინა საიმპერიო კანცელარიაში შესვლა, რომლის პირველ სართულში „ფიურერის“ კაბინეტია მოთავსებული, ხოლო მესამეში — გებელსის საინფორმაციო ბიურო.

მან ამოიღო მისამართი და იმ მოედნის სქემატური ქარტა, რომელზედაც პროპაგანდის სამინისტროა მოთავსებული. გადაათვალიერა და შეისწავლა.

— ბერლინში ბარე სამჯერ ვყოფილვარ და მთავარი პროსპექტები ვიცი, — ფიქრობდა ის, — სხვას ხომ არ ვკითხავ? პირდაპირ უნდა მივიდე, რომ პროვინციელობა არ შემეტყოს.

აი, ჩავიდა ჰუმმერი ბერლინში. სადგურიდან გამოსვლისთანავე მთავარ ქუჩას გაჰყვა და ტრამვაის ბაქანთან გაჩერდა.

— ტრამვაი არ მუშაობს? — შეეკითხა ის დიდი ხნის ლოდინის შემდეგ გამვლელ მოქალაქეს.

— თქვენ პროვინციელი ხართ? — თავის მხრივ შეეკითხა ისიც.

— დიახ, თქვენ რა იცით?

— შეგატყეთ, რადგან არ გცოდნიათ, რომ ბერლინში ტრამვაი აღარ მუშაობს ელექტროდენის უქონლობის გამო.

ჰუმმერი ახლა ავტობუსის გაჩერებასთან აიტუზა.

— ავტობუსი არ მუშაობს? — კვლავ შეეკითხა ის მოთმინების დაკარგვის შემდეგ, გამვლელ ქალიშვილს.

— თქვენ საიდანა ხართ ასეთი უვიცი? — გაიკვირვა ქალმა.

— რაზე ვარ უვიცი?

— იმაზე, რომ თქვენ არ გცოდნიათ, რომ ბენზინის ერზაცის უქონლობის გამო, ბერლინში ავტობუსები აღარ დადიან.

ასევე დაემართა ოსკარს ტროლეიბუსების, ბისკილეტების, ომნიბუსების გაჩერებასთან. მაშინ მან გადასწყვიტა ფეხით გაჰყოლოდა გზას. შპრეეს ხიდზე კვლავ ამოიღო ჯიბიდან სქემატური ქარტა და მისამართი. დააცქერდა, ორიენტაცია აიღო და ის იყო, უნდა მოეკეცა მისამართი, რომ უცბად ქარმა გამოჰგლიჯა ხელიდან და ფრიალით წაიღო. ძალიან ეწყინა ჰუმმერს, მაგრამ მაინც გადასწყვიტა სხვის შეუკითხავად მიეგნო გებელსისათვის.

და გაუყვა გზას ვილჰელმშტრასესკენ.

— მაინც სად ჯანდაბაში უნდა იყოს? — ფიქრობდა ის, — აქ სახლები ერთმანეთს ჰგავს, მოედანი დიდია, დაწესებულებებიც ბევრი სჩანს, სად იქნება აპოლონას კაბინეტი? ამ ყოყმანში რომ იყო, ჰუმმერს უცბად ერთი დიდი, კოხტა შენობის ფართო ეზოდან მოესმა იხვების ფრთების ბარტყუნი და მათი დაუსრულებელი ყიყინი:

— კვა-ა-ატა, კვა-ტა, კვა-ტა კვა-ა-ა-ტა...

ჰუმმერმა მეტი სიამოვნებით თავში შემოჰკრა და აღტაცებით წამოიძახა:

— ვიპოვე, ვიპოვე, მაშ ამდენი იხვები სად იქნებიან თუ არა გებელსის დაწესებულებაში?

და ოსკარ ჰუმმერი გაჰყვა იხვების ხმაურობის მიმართულებას.

ფარსადანი

## წინდახედული

იტალიაში აკრძალულია ძველი ფეხსაცმელის გაყიდვა, რადგან მას ჯარისკაცებისათვის აგროვებენ. თუ ვინმემ გაყიდვა გაბედა—იჭერენ.

გაზეთებიდან

ნახ. ხ. ნადარეიშვილისა

— მაგ ფეხსაცმელს, რომ ყიდი არ გეშინია, რომ დაგიჭირონ?
— სხვა გზა არაა, — მინდა დავასწრო გაყიდვა, სანამ ძალით გამაძრობდნენ.

## ᲓᲘᲐᲒᲜᲝᲖᲘ

ჰიტლერი ზეკაცურად ეუწერდაᲗᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲝᲛᲘᲡ, ᲘᲜᲘᲪ ᲨᲘᲠᲙᲐᲠᲗᲐᲜᲘᲡ ᲓᲘᲐᲒᲜᲝᲖᲘ.

ნახ. დონისა

— რა მოუვა ფიუერერს ცოფიანი ცხოველი რომ შეეჯახოს?

— ეგ არ ვიცი, მაგრამ ფიუერერი რომ შეეჯახოს ცხოველსა, უთუოდ ეაცოფდება.

## ᲛᲔᲠᲛᲔ ᲥᲐᲜᲠᲘᲡ ᲛᲣᲡᲘᲙᲐ

გებელს ხელი „ᲛᲬᲔᲠᲣᲚ ᲛᲔᲠᲛᲔᲡᲐᲗᲕᲘᲡ“
თვისი ჯარი მიეგზავნა;
ᲩᲥᲔᲚ ᲙᲘᲠᲘᲜᲝᲡ ᲛᲔᲠᲛᲔ ᲥᲐᲜᲘᲡ
ᲗᲐᲗ ᲛᲔᲠᲜᲔ ᲯᲐᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲘᲐᲜᲘ.
ᲬᲘᲜᲔᲚᲘ ᲯᲐᲠᲘᲡ ᲧᲣᲠᲗᲐᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ:
ᲨᲣᲜᲘᲡᲙᲘᲗᲐᲜ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐ —
ᲒᲐᲫᲘᲪᲣᲚᲘᲐ ᲐᲠᲘᲜᲔᲚᲘᲡ
ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲠᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲥᲐᲜᲘᲡ
ᲓᲔᲪᲘᲗ ᲛᲝᲚᲘᲡᲐ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲐᲡ, ᲩᲥᲔᲚᲘ, —
ᲨᲣᲜᲘᲡᲙᲘᲗᲐᲜᲘ!
ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲗᲘᲗᲘᲡᲐᲛᲔ
ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲫᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲚᲔ ᲛᲘᲮᲘᲜᲘᲡ ᲐᲠᲣᲗᲣᲜᲘᲐᲜᲘ

## ᲤᲠᲘᲪᲘ ᲓᲐ ᲯᲐᲜᲘᲜᲘ

(ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚᲘ ᲯᲐᲗᲐᲜᲘᲡ ᲯᲐᲠᲘᲡᲗᲐᲜᲐᲛᲔᲑᲜᲘᲗᲐᲜ)

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲡᲒᲐᲜ ᲯᲐᲠᲘᲡᲗᲐᲜᲐᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲔᲚᲘᲐ ᲛᲘᲪᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲛᲘᲗ ᲛᲝᲚᲘᲡ ᲐᲛᲑᲐᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲔᲚᲔᲜᲘᲐᲜᲘ ᲛᲝᲛᲙᲘᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲩᲕᲔᲣᲚ ᲩᲐᲒᲠᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲒᲐᲜᲘᲡ

თეთრი თოფები მფრინავს
თვალიწყლიანები ფეხლებს,
და წოლილები სეფენენ
ᲤᲣᲰᲘᲡᲐ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲔᲑᲘᲡ.

ᲓᲔᲓᲐᲛᲬᲘᲠᲘ ᲙᲐᲒᲝᲜᲘ
ᲛᲝᲛᲙᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲤᲠᲘᲪᲘᲡ,
ᲙᲐᲚᲐᲠᲔᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲘᲜᲯᲘᲡ:
— „ᲩᲥᲔ ᲛᲝᲒᲕᲘᲒᲝᲜ ᲓᲔᲓᲘᲗ

ᲛᲬᲐᲠᲔ ᲗᲔᲚᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲚᲘᲡ
ᲧᲕᲔᲚᲘᲡ ᲐᲠᲘᲜᲔᲚᲘᲡ,
ᲐᲮᲚᲐᲠ ᲓᲐᲒᲕᲘᲜᲔᲑᲘᲗᲐᲠ
ᲕᲘᲗ ᲪᲘᲪᲘᲜᲐᲡ ᲛᲘᲪᲔᲚᲘᲡ!

ᲜᲔᲢᲐᲕ ᲓᲐᲒᲕᲘᲜᲔᲑᲘᲗᲐᲠ,
ᲓᲐᲛᲘᲡᲑᲠᲘᲜᲔᲑᲣᲚ ᲗᲔᲚᲘᲡ,
ᲜᲔᲢᲐᲕ ᲛᲔ ᲛᲘᲛᲘᲡ ᲯᲘᲜᲗᲐᲡ
ᲣᲠᲗᲔᲡᲘᲗ ᲓᲐᲒᲘᲜᲔᲑᲔᲓᲘᲗ!“

ᲛᲐᲚᲔ ᲤᲘᲣᲰᲠᲔᲠᲘᲡ:
„ᲩᲔᲛᲘ ᲛᲘᲜᲐᲠᲗᲘ,
ᲛᲔᲣ ᲒᲐᲛᲘᲠᲔᲚᲐᲡ ᲒᲣᲚᲘ,
ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪᲐ ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲘᲠᲘ,
ᲩᲔᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲘᲠᲔᲚᲐᲡ ᲒᲣᲚᲘ.
ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲝᲛ ᲛᲘᲛᲘᲪᲐᲕ
ᲘᲜᲐᲛᲘ ᲛᲐᲜᲘᲪ ᲒᲣᲚᲘ!...
ᲤᲘᲣᲰᲠᲔᲠᲘ ᲓᲐᲒᲘᲜᲔᲑᲔᲓᲐ,
ᲩᲔᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲘᲠᲔᲚᲐᲡ ᲒᲣᲚᲘ.
ᲛᲔᲣ ᲛᲘᲜᲐᲠᲗᲘ ᲠᲝᲛ ᲛᲘᲛᲘᲪᲐᲕ
ᲓᲘᲓᲘ ᲛᲝᲚᲘᲡᲝᲗᲘ ᲜᲐᲮᲐᲕ.
ᲛᲔ ᲛᲘᲜᲐᲠᲗᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲝᲚᲘᲡᲝᲗᲘ
ᲛᲔ ᲒᲘᲜᲐᲠᲗᲘ ᲠᲝᲛ ᲛᲘᲛᲘᲪᲐᲕ
ᲓᲘᲓᲘ ᲛᲝᲚᲘᲡᲝᲗᲘ ᲜᲐᲮᲐᲕ.

ნახ. გ. ფალასი

გერმანელები უკან იხევენ...

საბჭოთა სარდლობის ეგვმის თანახმად.

## რუმინელის შური

ნახ. კ. ფალუდეისა

— ეი ბედნიერი! ქორქიც თბილი აქვს და სხვათა შორის, უფრო სწრაფად გარბის.



## გერმანიის არმიის "გეგმიანი" ოპერაციები ზურნის ხაზის გამოსასწორებლად

ნახ. ბ. ფრიდანისა

დასავლეთის მიმართულება,

ჩრდილოეთ-დასავლეთის მიმართულება,

სამხრეთ-დასავლეთის მიმართულება,

სამხრეთის მიმართულება.

## ᲐᲕᲭᲛᲝᲜᲐᲭᲠᲝᲑᲐ. ᲧᲐᲚᲗᲐᲑᲐᲜᲔᲚᲝᲑᲐ

გერმანიაში შეარიბეს ფულები მცხოვრებლებისაგან სახალხო ავტომობილების მოსაყიდად, რომლის მიღება გადასდეს ომის შემდგომ დროისათვის.

გაზეთებიდან

რომ უპირის „ფიუერერს"—ფაქტია ეჭიბიელი,
ოუ ეგვალის გაჩენა, ბევ დდეზე შიიხელი.
ფრონტებზე ეეგმები 

42-42

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამარცხვინო ფვირთი

ჰიტლერმა სახრჩობელებით მოჰფინა მისგან დაპყრობილი ქვეყნები.

გაზეთებიდან

ნახ. დონისა

— მთელი სიმძიმე არიული ცივილიზაციისა, რომელიც მე შემაქვს დამპყრობილ ქვეყნებში, ჩემი მხრით გადამაქვს და მაინც არ მიფასებენ.